ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა

სამოქმედო გეგმის მიზანი: ბაფის ეთიკისა და დისციპლინის სისტემის შენარჩუნება და განვითარება

კომიტეტის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს კომიტეტის დებულებით განსაზღვრულ მიზნებსა და ფუნქციებს და მიმართულია ამ ფუნქციების გამართულად შესრულებაზე.

კომიტეტის მიზანია ,,ბაფის“ წევრთა სამართალდარღვევების გამოვლენისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმების დახვეწა და მოიცავს ,,ბაფის“ წევრი ბუღალტრების მიერ პროფესიული მოვალეობის შესასრულებლად, ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების დამკვიდრების ხელშემწყობი ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას, ,,ბაფის“ წევრებისათვის ეთიკის კოდექსის მოთხოვნების გასაცნობად და პროფესიული ქცევის დასანერგად ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას. კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს „ბაფის“ წევრების მიმართ გამოყენებული დისციპლინური ზომის აღრიცხვა, გამეორებითი დარღვევის იდენტიფიცირებისა და სტატისტიკის საწარმოებლად; დისციპლინური საქმის წარმოების დოკუმენტების შენახვა - დაარქივება; გასაჩივრებულ გადაწყვეტილებებზე ინფორმაციის მომზადება დავების განმხილველი საბჭოსათვის გადასაცემად და საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული ბუღალტრების მიმართ გამოყენებულ დისციპლინური ზომის შესახებ სამსახურისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება.

რამდენადაც შეუძლებელია წინასწარ განვსაზღვროთ წლის განმავლობაში ,,ბაფის“ წევრთა სამართალდარღვევების რამდენი საქმის განხილვა შეიძლება გახდეს აუცილებელი, ამიტომ ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა ძირითადად მოიცავს ინფორმაციას პროფესიული ეთიკისა და დისციპლინარული სისტემების შესახებ ჩასატარებელ ტრენინგებზე და კომიტეტის საქმიანობის ადმინისტრაციული ნაწილის დასახვეწ ღონისძიებებს.

#	ღონისძიება	დაწყების სავარაუდო თარიღი	დასრულების სავარაუდო თარიღი	პასუხისმგებლობა	წყარო
1.	კომიტეტის სხდომები	პერიოდულად, მინიმუმ კვარტალში ერთხელ.	პერიოდულად, მინიმუმ კვარტალში ერთხელ.	კომიტეტის თავმჯდომარე	კომიტეტის წევრები
2.	შემოსული ინფორმაციის საფუძველზე კომისიის შექმნა, მოკვლევის ჩატარება და გადაწყვეტილების მიღება	პერიოდულად, საჭიროების მიხედვით	პერიოდულად, საჭიროების მიხედვით	კომიტეტის თავმჯდომარე	კომიტეტის წევრები
3.	დონორი ორგანიზაციების მოძიება, მოკვლევისა და დისციპლინარული სისტემის შესახებ გამოცდილების გაზიარების მიზნით, სემინარის ჩასატარებლად	მაისი 2023	სექტემბერი 2023	კომიტეტის თავმჯდომარე	ბაფის ადმინსტრაცია
4.	,,ბაფის“ წევრებისათვის წელიწადში 3 სემინარის ჩატარება ადგილობრივი სპეციალისტების მიერ, ეთიკის კოდექსის მოთხოვნების გასაცნობად და დისციპლინარული სისტემის შესახებ გამოცდილების გაზიარების მიზნით.	მაისი 2023	დეკემბერი 2024	კომიტეტის თავმჯდომარე	ბაფის ადმინსტრაცია

#	ღონისძიება	დაწყების სავარაუდო თარიღი	დასრულების სავარაუდო თარიღი	პასუხისმგებლობა	წყარო
5.	პროფესიული ეთიკისა და დისციპლინის თემაზე საინტერესო პროფესიული ტექსტების/სახელმძღვანელოების/მითითებების თარგმნა - წლის განმავლობაში მინიმუმ 2 მცირე ტექსტი ბაფის ჟურნალში	მაისი 2023	დეკემბერი 2024	კომიტეტის თავმჯდომარე	კომიტეტის წევრები
6.	თანამშრომლობა ბაფის აუდიტის ხარისხის კომიტეტთან	მუდმივად	მუდმივად	კომიტეტის თავმჯდომარე	კომიტეტის წევრები
7.	მუშაობა მოკვლევისა და დისციპლინარული სისტემის სრულყოფაზე. სამოქმედო გეგმა შეიძლება მომავალში გაფართოვდეს.	მუდმივად	მუდმივად	კომიტეტის თავმჯდომარე	კომიტეტის წევრები

ვახტანგ ცაბაძე

ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტის თავმჯდომარე

05 მაისი 2023